ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N90/გ

ქ. მცხეთა 25 აგვისტო 2016 წ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 3[1] პუნქტის თანახმად, ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, შემდგომში „შემსყიდველი“,წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით და მეორეს მხრივ, ი.მ ქრისტო ხეთაგაშვილი შემდგომში ,,მომწოდებელი„ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 2016 წლის 26 აგვისტოს „ყაზბეგობის“ დღესასწაულთან დაკავშირებით ბავშვების ტრანსპორტირება დაბა სტეფანწმინდაში და უკან.(CPV60100000).

2. მომსახურების მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების გაწევის ვადაა 2016წლის 26 აგვისტო.
2.2 მომსახურების საერთო ღირებულებაა 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი.

3. მხარეთა უფლება – მოვალეობები

31 „მომწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას:
3.1.1 უზრუნველყოს უსაფრთხო ტრანსპორტირება.
3.2 ,,შემსყიდველი“ კისრულობს ვალდებულებას:
3.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა გაწეული მომსახურების მიხედვით.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

4.1 თუ „მიმწოდებელი“ არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი“ წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
42 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
4.3 მომსახურების არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მომწოდებელს“ არ აუნაზღაუროს გასაწევი მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

6. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

6.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ფორს – მაჟორი

7.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2 თუ `მიმწოდებელი" და `შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. სხვა პირობები

9.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

9.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

9..3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

10.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის კულტურის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების მთ. სპეციალისტი ნინო მანიაშვილი.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

12 . ანგარიშსწორება

12.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მომწოდებელი**
მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა	ფ.პ ქრისტო ხეთაგაშვილი
მის: ქ. მცხეთა,ანტიოქიის ქ. 7	მის: გორი, სოფ. ქემერტი
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ბანკი: საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა GE24NB0330100200165022	ა/ა GE34BG0000000827358400
ს/კ 236098824	ს/კ 59002002496
მუნიციპალიტეტის გამგებელი	
ზ. აბესაძე	ქ. ხეთაგაშვილი